

გაზეთის ფასი:

ხალის-მოწარა მიიღება:

გაზეთით ტფილისში და გარეშე ადგილებში: **გაზეთის ფასი:**
 პირთა წლისა — 7 მან. — — — 6 მან.
 ნახევრის წლისა — 4 — — — 3 — 50 კ.
 სამის თვისა — 2 — 50 კ. — — — 2 —
 ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
 „**დროება**“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარაკვეთით.

დროება

ტფილისში „**დროება**“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-შვილის და კამ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბეზუგოვის სახლში.
 ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ. ВЪ КОНТОРУ РЕДАКЦІИ ГРУЗИНСКОЙ ГАЗЕТЫ „ВРЕМЯ“.
 რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზედ. მასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულო-ბრივის ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

შინაარსი: — სამოსამართლო მაჩვენებელი.
 — ბუჯარი. — პოლიტიკა. — ანგლია. — სლავიანე-ბის მიწები. — მსხალეთი. — აბსინია. — ტელეგრაფ-მები. — სამეცნიერო ამბები. — შინმაჩინის ქუ-დოსანი და იმის ლაპარაკი მკითხველთან. — სახაზინო განცხადება. — მანცხადება.

სამოსამართლო მაჩვენებელი.
 საქმენი, რომელნიც დანიშნულნი არიან მოსამართლად ტფილისის ოლქის სასამართ-ლოში, სამოქალაქო ნაწილში, 17 მაისს.
 1) აპელაცია თბილისის მცხოვრების მ-ნატე ტუზოვისა, რომელიც თბილისისავე მცხოვრებელს ბალუსტ შაუმოვს ედავება 152 მანეთს თეთრს.
 2) საქმე ტფილისის მოქალაქის ბეგლარ

შინმაჩინის ქუდოსანი და იმის ლაპარაკი მკითხველთან.
 წარსულს ნომერში განვიხილეთ ის აზრი, რომ ჩვენი საზოგადოება დიდს ყოყმანშია: იმან იცის, რომ გარემოებამ მართო თავის იმედით დაგდო, მსურს ხელი მიჰყოს ყოველს გვარს საქმეს, მაგრამ არც ცოდნა და არც გამოცდილება მოსდევს. ძიდეც ამიტომ უფ-რო სამიმოა ჩვენი ახლანდელი მდგომარე-ობა, რომ გაახლებულის ცხოვრების შესათეი-სებლათ არა ერთ მომზადებული. შეძლებით და ჰკუთი სიღარიბესა ვგრძნობთ: ლამის შიმშილით არ დავიხრცნეთ, ყველას ერთილა საშუალება დაგვჩინებია თავის გასაკვებათ: ეს არის მოჯამაგირობა. ბატონის ოჯახში სი-ზარმაციით გაზატებულს შინაყმას თავის ყან-ში მუშაობის თავი არა აქვს, შინ ვერ დამდგა-რა და იმერეთიდან მირბის ტფილისს და ძა-ხეთს: რა არის, ეგებ ვინმე მიმსახუროსო და ოარი გროში მომცესო; ბატონიც ჰკუთი და გამოცდილებით იმდენათ დახელოვნებული არ არის, რომ აღიჩინოს თავისუფალი ხე-ლობა და სრულებით დამოუკიდებლათ იც-ხოვროს. როგორც შინაყმა ისიც ისე დარბის გაუოცებული: რა არის, იქნება სადმე სამსა-ხურში თავი შეეყო, რომ სახელმწიფო სა-ქმე მაკეთებინონ და იმის და გვართ ჯამა-გირიც მაძლიონო. ამ სახით დიდა და პატა-რა ყველანი მოჯამაგირებათ გამხდარვართ და თუ არ მოჯამაგირობა, სხვა საქმის კეთე-ბა კი არასურის შეგვიძლიან. შეძლებით და ჰკუთი ღარიბობა გვაგდებს სხვის დამოკიდე-ბულობაში; მოჯამაგირობაში მუდამ სხვისი შემჩერენი ვართ, და ამიტომ როგორც მოჯამაგირებსა, ჩვენც ისე თავისუფალი ცხოვ-რება არა გვაქვს. ჰკუთვანების გაუსხნელობამ და შრომის უცოდინარობამ აი ამ უძლურე-ბაში ჩავგადდო. ამისთანა ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა; ამ სენს ჩვენ ვეღარას ვუშე-ვლით; ამისთვის უნდა ვიფიქროთ მომავლისა-თვის და ამ შემთხვევაში რას უნდა მივაქცი-ოთ ყურადღება? ახალ-გაზღობის აღზრდას ისე, რომ იმან შეიძლოს თავის დროში თავი-სი ღონით ცხოვრება და მოჯამაგირობა სა-ნატრელათ არა ჰქონდეს. ამისთვის ის უნდა გავანათლოთ, გონება გავუხსნათ. მაგრამ ამის ასასრულებლათ რა საშუალება გვაქვს ხელ-

ბეგლაროვის ეკილის, ჩანონიკის ივანე შა-დინოვისა, რომელიც ეძიებს ფულებს ქვრივი ნატალია პრუკუნისაგან და მარამ მოვლა-თოვისაგან.
 3) საქმე თავადი შარამან არლუთინსკი დოლოგორუკოვისა, რომელიც, ეძიებს ფულებს გენერალ-მაიორის თავადი მაკარი ორბელი-ანისაგან.
 4) ქერძობითი საჩივარი ნადვორნი სო-ვეთნიკის ხანდამოვის ცოლის, ნატალია ხან-დამოვისა, იმზედ რომ თბილისის სამაზრო სასამართლომ თავადი რაფიელ ამატუნის მე-მკვიდრედ, ნაცვლად ამის შეილის ნიკოლო-ზისა, სცნა ნინო დოლოგორუკოვის მეუღლედ.
 5) მხოვნა თბილისის მოქალაქის თამაშ-შოვისა, მისი მოვალის სტეფანოვის დტუსა-ლებაზედ.

ში? — თავდაპირველი საშუალება განათლებისა არის ენა. სოფლის დასაბამიდან რაც აზრი ჰკუთს მოუმიკა, ენა არის იმის წარმო-მქმელი და იმის გადამცემი ერთი შთამომავ-ლობიდან მეორე შთამომავლობამდე. მაგრამ რამდენიც სხვა-და-სხვა გვარი ხალხი ასხია დე-და-მიწის ზურგსა, იმდენი სხვა და სხვა გვარი ენაა აზრის წარმოსათქმელათ. შოველს ხალხს თავის თვისების და გვართ თავისი ენა შეუდგენია. ეს ენა არის იმის მიუცილე-ბელი საკუთრება, ისე როგორც იმის საკუთ-რება სული და ჰკუთ-გონება; ენა არის ხალხის სულიერი ნაყოფი. მთქვით ადამიანის შთამო-მავლობა ისტორიული გარემოებით დაბინა-ვებულია ერთს რომელსავე მხარეში; ოთხი ხუთი ათასი წელიწადი ყოფილა ერთსა და იმავე ბუნების გავლენის ქვეშ; იმ მხარის ად-გილს, წყალს და საქმელს ათასი წლობით ჰქონია ზედმოქმედება ამ ადამიანის შთამო-მავლობაზე; ამისგამო დაარსებული ერთ გვა-რი ტომი და ამ ტომს თავის ბუნების შესა-ფერი ენაც შეუთხზავს. ეს ენა იმის ჰკუთ-ვანების გამომხატველია და, ვიდრე ეს ხალხი ცხოვრებს, როგორც ჰკუთ-გონების წარმევა არ შეიძლება, ისე არც ენის წარმევა შე-იძლება. წარჩინებული ბერძანის ფიზიოლო-გი შოხტი აი რას ამბობს ამაზე: „**მითოეუ-ლი ხალხის ენა მჭიდროთ არის დაკავში-რებული იმის აზრზე.** — ის ხალხი მისდღეში დასჯილია უნაყოფიერობით, რომელსაც მი-უღია სხვა ხალხის ენა, იმისთანა ენა, რომე-ლიც ხასიათით და შემუშავებით სრულებით არ შეძფერის მეორე ხალხსა.
 მღზასის მახარაში ფრანკოზული ენა და მემესური ნიდაგ ებრძვიან ერთმანეთსა; მა-ღალი წოდება ფრანკოზულს ენაზე ლაპარა-კობს და დაბალი წოდება ნემესურს ენაზე; აქ ხეირიანი არა დაიბადება რა, ამიტომ რომ ერთი ენა სრულებით სხაგვარს მეორესა. ამი-სთანა გარემოებას დიდხანს ჰყავს ხოლომე ხა-ლხის გონება დაჩაგრული; — მატლანდის კან-ტონის მცხოვრებლები ლაპარაკობენ ფრან-კოზულათ, და განათლებას ფრანკოზულს ენაზე ღებულობენ, — ერთი სიტყვით ფრან-კოზობა მსურთ; მაგრამ აზრობენ კი ნემე-სურად, ჰკუთის გამომეტყველება და აზრის მუშაობა სულ ნემესური აქეთ; ამისთვის ამის-

ბუჯარი.
 ეს გუჯარი მე ვბოვე ინგილოს სოფელში ძახში. მსა ჰქონდა ინგილოს, გვართ ზურა-ბაშვილს, როგორც არის მოხსენებული. ამას ის ინტერესი აქვს „**დროების**“ მკითხვე-ლებისათვის, რომ სრულებით ეთანხმება მეფე მახტანგის „**მარაღის**“ ცხოვრებას. ამ გუჯარზე ჩვენა გესურს გაზეთის შემდეგ ნო-მერში მოვილაპარაკოთ მკითხველთან და ვა-ჩვენოთ, რომ 1755 წლამდე ძაკი ანუ ილისოს სასულთნო ყოფილა ირაკლი მეფის საკუთრება, როგორც ამტკიცებს ამას ჯერ ეს გუჯარი, მერე ისა, რომ ის თავის სამეფო ტიტულში ძაკის ბატონათ იწოდება.
 ძ. წყალობითა. ლეთისათა. ჩვენ. იესიან. ლეთიან. სოლომონიან. პაკარატოვანმა. საქა-რთველას. მეფემ. პატრონმა. თიემურაზ. და ძემან. ჩვენმა. ძახეთის. მეფემ, პატრონმა.

თანა ხალხი თავის დღეში საკუთარს კარგს რასმე ვერც შეთხზავს და ვერც მოიგონებს, რადგან ის ენა, რომელზედაც თვითონ ლა-პარაკობს, იმის სულიერს მოთხოვნილებას სრულებით არ შეძფერის. ამიტომ ყველა ნა-თლათ მიხედება, თუ რამდენათ უფურნი არიან ისინი, რომელნიც ჰფიქრობენ, ეთოზმც შესაძლებელი იყოს ერთი საზოგადო ენის მიღება მთელი კაცობრიობისთვის; ამისთანა ენა ვერავის ვერ დაამყოფილებდა და ცოტა ხანს შემდეგ ყოველი ხალხი მიანც თავისე-ბურათ გადააკეთებდა ამ საზოგადო ენასა.“
 რომ კიდევ შესაძლებელი იყოს კაცობრი-ობისათვის ოდესმე ერთი ენის მიღება, ამ ჟამად მიანც ყოველს ხალხს თავისი ენა აქვს და ყოველი ხალხი აქამომდე საკუთარი ენის საშუალებით ნათლდება. შოველს ხალხს თავის ენაზე გადაქვს შეძენილი მეცნიერება და იმითი იმდიდრეს თავის ჰკუთ-გონებას, ამი-ტომ რომ სხვა ენა არ ესმის.
 ახლა საქართველო იმისთანა მდგომარეო-ბაშია, რომ დიდი და პატარა ყველა გრძობს სწავლის საჭიროებას. ამ მოთხოვნილებას, რომ, ცოტაოდენიც არის, მიანც ხელი შეეუ-წყოთ, უეჭველათ უნდა ვისარგებლოთ ჩვენი სამშობლო ენითა; იმის საშუალებით უნდა გადავსცეთ ხალხსა სასარგებლო სწავლა და მეცნიერება.
 ამ აზრით უფ. წერეთელი შეუდგა ამ წლის თებერვლიდან „**სასოფლო გაზეთის**“ გამო-ცემასა. როგორც „**დროების**“ მკითხველებმა იციან, „**სასოფლო გაზეთში**“ საქმიო (სამ-კურნალა) და სამეურნეო ცნობებს გარდა სა-მიცნიერო განყოფილებაც არის. ამ განყო-ფილებაში იბეჭდება ბუნების მეცნიერებებთან, მათე-მატიკიდან (საანგარიშო ცოდნიდან) და სხვა სწავლიდან იმ გვარი სტატეები, რომ შემდეგ შეიძლებოდეს ამ სტატეების გამო-კრეფა და სამეცნიერო წიგნების შედგენა სახა-ლხო შკოლებისათვის. მსამეცნიერო წიგნები დიდს შემწეობას აღმოუჩენენ ჩვენს საქარ-თველს დედათა, თავიანთ ყმაწვილების შინ სასწავლებლათ, ვიდრე შკოლებში მისცემდ-ნენ. „**სასოფლო გაზეთი**“ განსაკუთრებით სასარგებლოა იმ ქართველ მღვდლებისთვის, რომელთაც შკოლები აქეთ, ამიტომ რომ ყოველ სასარგებლო სწავლას ყმაწვილების

ჰერაკლიმ. და. თანა. მეცხედრემან. ჩვენმა. ღადიანის. ასულმან. დედოფალმან. პატრონ-მა. ღარეჯან. და. საყვარელმან. ძემან. ჩვენმა. უფლის. წულმან. პატრონმა მახტანგ. ბიორგამ. ესე. აზატობის. და. სითარხნის. წონი. გიბო-ძეთ. საჯილდაეთ. შენ. წმინდის. ნინოს. ყმას. მეურს. ზურაბაშვილს. იასეს. რევაზის. ომანს. იგდარს. ნასყიდას. შეილთა. და. მომავლთა. ყო-ველთავე სახლისა. თქვენისათა. ასე. და. ამა. პი-რსა. ზედან. შერეულის. ციხეს. მუცალი. აჯი. ჩა-ლაბის. შეილი. სულთანი. და. ჰარეღნი. დიდროვნის. ჯარებით. გარს. ეხეივა. ამ ცი-ხეში. იყენენ. ღავით. მანძაძე. მეღქისედგე. შაქვაძე. და. მესაპ. ხასი. ბავაზი. შერელი. მისიელი. სადედოფლო. ხასი. შიური. ამათ. სჯულის. გულისათვის. ქვეყნისა. და. ჩვენის ერთ. გულობის. გულისათვის. საყათლანეთ. თავი. გადადევს. დადგენ. და. ლომურათ. ოცდა. სამი. დღე. იბრძოლეს. სებაები. ახ-გადასაცემათ ამ „**სასოფლო გაზეთში**“ იბო-ენიან. ამისგამო ჩვენს საქართველოს დე-დათა და შკოლების მქონებთა მღვდელთა ვურჩეთ მოიბოგონ ეს სასარგებლო გაზეთი. ამ გაზეთის გავრცელება ორგვართ არის გა-მოსაადგი: ერთი იმით რომ თვითონ გაზეთი ბევრს სასარგებლო ცოდნას და დარიგებას აძლევს მკითხველსა და მეორე იმითი, რომ იმის გავრცელებით სამეცნიერო წიგნები და-იბეჭდება და სწავლა დაინერგება ქართულს ენაზე.
 ახლა ესთქვით ორიოდ სიტყვა „**საყმაწვი-ლო ბაღზე**“, რომლის დაარსებაც უნდათ ტფილისში. ჩვენი იმედი ახალგაზღობაა. რამ-დენათაც უფრო კარგი საფუძველი მიეცემა ჩვენს ახალგაზღობას, იმდენათ უფრო ნაყო-ფიერი და განათლებული ცხოვრება მოგვე-ლის მომავალს დროსა. დიდი ხანია რაც, მერო-პაში იგრძნეს, რომ ცხოვრების სკეთე და გა-ნათლების წარმატება დამოკიდებულია აღზრ-დაზე; არც კარგი წესდებულება, არც სწავლა, არც სიმდიდრე მთელი სახელმწიფოსა არ დაამყოებს ხალხში კეთილ-მდგომარეობას, თუ რომ ხალხია გონებით გაუსხნელი და მდა-ბალის ზნისა. ხოლო თითოეული კაცის სი-კეთეზე დამოკიდებულია მთელი სახელმ-წიფოს კეთილმდგომარეობაც და ბედნიერე-ბაც. მთ სახელმწიფოში ყოველი კაცი ცო-დნით მდიდარია და ზნეობით ამაღლებულია, მაშინ მთელს ხალხშიაც განდგება სიყვარუ-ლი და კარგი საზოგადო წესიც დამყარდება. მი-თოეული კაცის შრომით და შემწეობით სახე-ლმწიფოც მდიდრდება და საზოგადო მმართვე-ლობაც მეტად კეთდება, ამიტომ რომ ყო-ველი გამგებელი გონიერი და განათლებუ-ლი კაცი იქნება. მართი სიტყვით ხალხის ბე-დი და უბედურობა, წარმატებით ცხოვრება და გაუნათლებელი მდგომარეობა თითოეულის კაცების ღირსებაზეა დამოკიდებული. ამის-თვის დიდი ხანია მას უკან, რაც მეროპამ დიდი ყურადღება მიაქცია შთამომავლობის აღზრდაზე. აღმოჩნდენ დიდი ჰკუთის კაცები, რომელთაც მთელი თავის ცხოვრება შესწი-რეს ახალგაზღობის აღზრდას და იმის საზო-გადო კანონების გამოკვლევასა.
 ამისთანა სწავლულებში პირველი ადგილი უჭირავს შევიცარიელს ჰესტალოცის.



პოლიტიკა.

ანგლია.

მალლისის პრინციის ირლანდიაში მისვლის თაობაზე. ლონდონის კორესპონდენტი იწერება Nord-ში: „რასაკვირველია, ექვშა არაფერ იქნება, რომ ვალისის პრინცი ირლანდიაში, მისვლამ ირლანდიელებს აფიქრებინა მრავალი კარგი იმედები და ეს ამბავი იმათთვის მოასწავებდა თითქმის ახალს დროს—სამართლისას და კეთილ-მდგომარეობისას. შეერთებული საკოროლოს მესამე სატახტო ქალაქის მცხოვრებლები ისეთი ყოფით დაჰხედნენ ანგლიის ტახტის მემკვიდრეს, რომ თითქმის ახლაც უზღიან მადლობას იმ კეთილი ცვლილებებისთვის, რომელთაც, როგორც მოვლოდებიან, მმართველობა აპრობს მოახდინოს ირლანდიაში. ძნელი კია იმისი შეტყობა, თუ მმართველობა როგორ გაამართლებს ირლანდიელების მოლოდინს,—მით უფრო, ძნელია რომ არც პალატებს მიუციათ ვალისის პრინციისთვის პარლამენტის სახელით ლაპარაკის მინდობილება და ამასთან ტახტის პასუხის—მგებელ მოთაბიერეთ აზრი ირლანდიის შესახებ სრულებით არ ეთანახმებინათ ერთმანეთს და ამისათვის მოსალოდნი არ არის, რომ იმათ რამე გადაკვეთილი პროგრამა მისცენ ირლანდიელებს. ეს კი დარწმუნებით შეიძლება ესთქვათ, რომ თუმცა ვალისის პრინცი ირლანდია დაიარა, როგორც კერ-

ლოს. მიუტანეს. საქმე. რომ. გაუჭირეს. ჩეენი. მდივნი. შეილი. სოლომონ. და. პაპა. ბებურის. შეილი. მართლიდამ. იოთამის. შეილი. რევაზ. ჩეენი. ყულუხნი. ბეჟან. რაჭის. შეილი. მაჩაბელი. ბიორგი. სოლოდას. შეილი. ტარიელ. ნამაგლელო. შახტანგ. და. თავის. შეილი. შარებუზ. ესენი ორასის. კაცი. შახტანგისა. და. მართველის. კაცი. ამათში. ას. სამი. ქაზიყელი. კაცი. იყო. მრავლის. ტყვაა. წამლით. ლეთის. ძალით. გავისტუმრეთ. ჯარები. სულ. გარს. ეხვივა. ხმალ. და. ხმალ. ციხეში. შეიღდენ. შიგ. მდგომთა. და. ამათ. მრავალი. ლევი. მოკლეს. ოც. და. მერვეს. დღეს. უკან. გაქცულნი. და. გაწითლებულნი. წაიღდენ. შენც. ამათში. იყავ. თავი. სასიკვდილოთ. არ. დაზოგე. ამისათვის. საჯილდოთ. და. სანუფქოთ. გავაზატეთ. ასე. რომე. არა. ფერი. საჩენო. გამოსაღები. ყოვლნი. ბეგარა. თეთრი. არა. კოდის. პური. არა. ლენო. საკლავი. არა. ბატონის. ბოდბლის. გამოსაღები. რაც. რამ. ფერი. არი. არცარა. სამოურავო. გეთხოვებოდესთ. რა. ლაშქარ. ნადრობას. მეტი. ამას. გარდა. გეობძებია. შიხას. შეილის. პაპუას. ნაქონი. ბეთალომანი მამული. ყოვლის. ფრით. რისაც. ჰქონებელი. ყოფილა. ბატონო. ბოდბელი. თქვენცა. ასე. დაუბტკიცეთ. გიბძანებთ. კარისა. ჩეენისა. ვექილ. ვეზირნო. თქვენცა. ასე. გაუთავეთ. წყალობა. და. ნიშანი. ესე. დააწერა. ნოემბერის. ხელითა. კარისა. ჩეენის. ძის. სოლომონისათა. ქორონიკონს უ მ გ.

ინგლო.

ბადმოიწერა 1867 წელსა. 19 ოკტომბერს.

პროფესორი ნეაკი, რომელმაც ასწერა პესტალოცის ცხოვრება, აი რას ამბობს იმაზე: „საკობრიობის საკეთილ-დღეობ მუდამ მოუსვენარისა და უსასყიდლო შრომისთვის თუ შეიძლება კაცს გმირი დაეარქვათ, მაშინ პესტალოცს გმირობაში ტოლიც არ ეყოლება. ამ საქმეში ის ბევრითად გმირია, როგორც მწერალი, როგორც საკობრიობის განათლებელი და როგორც ხალხის ამხრდელი. პესტალოცი იყო გასაცვიფრებელი მომთმენი, თავგანწირულებით მოყვარული თავის მახლობელისა და მშვიდობიანი. იმას ბევრითად სწამდა საკობრიობის გაფუხრება. ამ კეთილშობილური განზრახვის ასასრულებლათ იმას ვერაფერი დააყენებდა ხოლმე. ამიტომაც შეუძლებელია, რომ პესტალოცის გმირი არ დაეარქვათ. იმისმა აზრებმა და მოქმედებამ, იმისმა სიყვარულმა და ტანჯვამ, იმისმა სიტყვამ და მწერლობამ განუსაზღვრელი კეთილი მიანიჭა სახლობას, შკოლას, და ხალხს.

პესტალოციმ შენიშნა, რომ ხალხს დიდი იმედი მოეცა შკოლებისა; იმას ეგონა, რომ თავიანთ შეილებს აღსაზრდელათ შკოლა და სხვა სასწავლებლები სრულებით საკმაონი არიანო და ამის გამო დედებმა, თავიანთ შეილების აღზრდაზე სრულებით ხელი აიღეს. აი, ამის გამო პესტალოციმ ნათლად დაუბტკიცა საზოგადოებას, რომ დედები ბევრს ნურას მოელოან შკოლებისაგან, თუ თვითონვე არ იზრუნებენ თავიანთ შეილებზეო. პესტალოცმა საკობრიობას დაუბტკიცა, რომ თავიდა-თავი ხასიათი დედ-მამისაგან ეძლევა ყმაწვილსო... რომელი ყმაწვილიც პატარაობდგ წვე დედმამის უყურადღებოთ გაზრდილა, იმაზე უბედური ცხოვრებაში არაფერ არისო.

შახტანგის, თულუბის, ქურდების, ლოთების, ევრაგების და სხვა დიდ ბოროტ-მოქმედი კაცების ცხოვრება რომ განვიხილოთ, უეჭველად დავრწმუნდებით, რომ უფრო ბევრი იმათგანი ყმაწვილობაში ცუდით აღზრდილან დედ-მამისაგან. არც ეს შეიძლება ითქვას, რომ პატარაობდგანვე ყველანი დედ-მამის უყურადღებოთ აღზრდილნი ცუდისთვისებისანი გამოსულიყვნენ; მაგრამ ამის მიზეზისულ სხვა გარემოება; ყმაწვილი თავის ცხოვრებაში მართო დედ-მამის გავლენის ქვეშ არ იმყოფება, ის ბევრს სხვა ნაირს გარემოე-

ბასაც გამოსცდის ხოლმე თავის ყმაწვილობაში; მაგრამ ყმაწვილი თუ თავიდავანვე დედმამისაგან ცუდით არის გაზრდილი, მერმე თუნდ ათ ნაირ შკოლაშიც რომ გაზარდო, მაინც ცუდი კაცი გამოვა. ამ ნაირ ყმაწვილი რომ კარგს შკოლაშიც გამოიზარდოს და შემდეგ კარგს უნივერსიტეტშიც რომ სწავლა დაასრულოს; იმის ზნეს მაინც არა ეშველ ბარა; ეთქვათ, რომ ის კარგათაც ილაპარაკებს, ყველგან კარგს აზრებს წარმოატყვამს, მაგრამ გრძობა მაინც სხვა მხრით წარიტაცებს ხოლმე; ამისთანა კაცისთვის ცოტა რამ განსაცდელიც საკმაოა, რომ ცუდმა გულის თქმამ დასძლიოს იმისი გონება და თან-და-თან ზნეობით გაიყენეს. ამ კაცს თუ ნათელი აზრი თავში უბრუნდეს, მაშინ ის მიეცემა შინაგანს ბრძოლას; ამ კაცში გრძობა შეეზებება ხოლმე გონიერებას; ერთის სიტყვით ეს კაცი ზნეობით ორათ განიყოფება: იმასში დამკვიდრდება ცალმხრით ბიწიერება და ცალმხრით გონიერება. მაგრამ რადგან გრძობა ყოველთვის გონებას სძლევს, ამისთვის ამ გვარი კაცი ბოლოს მაინც უეჭველათ თავის გრძობას დაემორჩილებაო,—ამბობს პესტალოცი. იმის აზრით კარგი დედმამის გავლენას არა შეეძრება რა. დედ-მამის სწავლებით ყმაწვილს ჩაენერგება იმისთანა თვისება, რომელიც გადაეცემა უმთავრესს ხასიათად. შკოლა კი გარეგანს თვისებას თუ მისცემს ყმაწვილს, მეტს ვერას. ყმაწვილი მიემგზავნება კვერცხს, რომელიც გულისა და ქერქისაგან არის შემდგარი. დედმამის გავლენა აკეთებს გულს და შკოლა კი მართო გარეგანს ქერქს აკრ-ესო. ამ სახით თუ დედ-მამის გავლენა კარგი იქნება. მაშინ გულიც კარგი გაკეთდება, და თუ გული გალაცხებულია, რაც უნდა კარგი ქერქი შემოაკრა, ამისთანა კვერცხისაგან ხეირიანი ნაყოფი არ წამოსდგებაო; თუ ხეს ფესვი დამპალი აქვს, მაშინ მთელი ხეც ლბება და ნაყოფიც დამპალი მოაქვსო. ამ განზრახვით იმან გამოხატა თავის თხზულებაში იმისთანა სახლობა, რომელსაც შესძობოდა კარგი ზნის დანერგვა ყმაწვილში. იმან წარმოგვიდგინა იმისთანა სახლობა, რომელიც მისცემს ყმაწვილს გონიერს საფუძველს. მაგრამ ამასთანავე პესტალოცი კარგათ ხედავდა, რომ თავის დროში მერობაში

ძო კაცმა, მაინც ამ მოგზაურობის შედეგი, საკეთილოდ იქნება თუ საუბედუროდ, ოფიციალური საქმის ხასიათს მიიღებს. თუ ირლანდიელებს დიდხანს არ აუსრულდათ ის იმედები, რომელნიც დაჰბადა იმათში პრინციის მოგზაურობამ, მაშინ უეჭველად რეაქციას მოახდენენ, მით უფრო, რომ ძალიან მგრძნობელი ხასიათისანი არიან. ალტაცების მაგიერად მოწყენილობა და მოშურნეობა დაიბადება იმათში, და ათასი მუშა-ხელოსანი, რომელნიც ასე დიდი ხანი არ არის ლუბონის ქუჩებზედ სიხარულით ტაშს უკრავდნენ პრინცს, ახლა დაადგება უკუღმა გზას და თავგამოდებულ ფენიელთ მომხრედ შეიქნება. ამ პრინციის მოგზაურობამ თუმცა ერთის მხრით გავჩვენა, რომ კელტის ტომიც (ირლანდიელები) ინგლისელებზე ნაკლები ერთგული არ არის თავის მეფეებისა, მაგრამ მეორეს მხრით იმაზედაც დაგვარწმუნა, რომ ირლანდიაში მშვიდობიანობის მოხდენა ძნელად იწევს წინ და ბრიტანიის მმართველობასაც დიდი ნდობა ვერ მოუპოვებია იმათში. როდესაც ლუბონის მცხოვრებნი უსალამებდნენ ვალისის პრინცს, როგორც თავიანთს მომავალს მეფეს, იმ დროს სხვა და სხვა ადგილებიდან მოდიოდა ბოროტის მომასწავებელი ამბები. თითქმის ერთ დროს შეეცყეთ ორი კაცის კვლავ და ერთი კაცის მოკვლის განზრახვაზედ. ჯერ პრინცი არ გასულიყო ირლანდიიდან,—აქსტრალიიდან მოვიდა ამბავი, რომ ვიღაც ფენიელმა მდინებურგის გერცოგს ესროლაო. (მდინებურგის გერცოგი ვალისის პრინციას ძმა არის)

თითქმის არ იყო ამისთანა სახლობა. ამიტომაც იმას აზრათ ჰქონდა გაკეთება იმისთანა „საყმაწვილო ბაღისა“, სადაც შესაძლებელი ყოფილიყო თავის აზრებისამებრ პატარა ყმაწვილების სწავლება. მაგრამ სხვა და სხვა გარემოების გამო იმას არ დასცალდა ამისთანა ბაღის გამართვა. რაც იმან ვერ დასრულა, იმისი შესრულება წილად ხედა შრებელსა, რომელიც იყო პესტალოცის მოწაფე და იმის მემკვიდრე საკობრიობის აღზრდის ასაზრზე.

შრებელი ბევრითად დარწმუნდა, რომ თუ ყმაწვილის თავდაპირველი აღზრდა შინაურობაში არ გამოშენიერდა, უმისოთ საზოგადოების აღზრდასაც არა ეშველებაო; და ამას შემდეგ შეუდგა იმის ფიქრსა, რომ როგორმე საუკეთესოთ შეეცალა შინაური აღზრდა. იმას უნდა ებოვნა გონიერი საშუალება და ეცნობებინა დედებისთვის, რომ თავიანთ შეილების გასაზრდელათ მოეხმარათ ეს საშუალებანი. ამ ღონის ძიების მოსაპოვებლათ შრებელს უნდა გამოეცვლია ყმაწვილის ბუნება. ამის გამო შრებელი ათის წლის განმავლობაში ატარებდა თავის დროს პატარა ყმაწვილებს შორის, რომ შეეცყო იმათი ბუნება, ებოვნა იმათი აღზრდელი საშუალება და როგორც როგია, ისე მოეხმარა. ის დადიოდა სხვა და სხვა სახლობებში, აკვირდებოდა ყმაწვილების ბუნებას და ბოლოს გამოსცა მთელი სწავლა, რომელშიაც გამოხატა სრული სისტემა ყმაწვილების აღზრდისა იმ კანონისამებრ, როგორათაც უნდა გაიზარდოს კაცი ბუნებითად.

ღიდს გამოცდილებას შემდეგ იმან ისურვა, რაც თავის გონებით და დაკვირვებით მოეპოვებინა, იმისი ცდა პატარების აღზრდაში. ამ აზრით იმან გახსნა საყმაწვილო ბაღები მერმანისის სხვა-და-სხვა ქალაქში. აი როგორია შრებელის საყმაწვილო ბაღი. იმის აზრით ბაღი უნდა იყოს გაყოფილი ორ უმთავრეს ნაწილათ, გარეგანი ნაწილი და შინაგანი ანუ ბაღის გული. ბაღის გარეგანი ნაპირი ყველა ყმაწვილებისა უნდა იყოს. ყმაწვილები იმაზე თესვენ სხვა და სხვა ნაირს ბოსტნეულს და ყვავილებს. ბაღის გული კვლავათ არის დაყოფილი და თითო კვალი თითო ყმაწვილისა არის. ყმაწვილს აძლევენ

ანგლიის მმართველობა ფიქრობს, რომ ირლანდიაში მშვიდობიანობის მოხდენისათვის საჭიროა, ვითომც, მხოლოდ იქაური სასულიეროთ დასის დაკმაყოფილება. რაღა თქმა უნდა, რომ გონი ირლანდიაში და ანგლიაში კათოლიკთ მომხრენი ცდილობენ დაგვარწმუნონ, ვითომც ესლა საქმე ჩინებულად წავა, რადგან პრინცი მივიდა მაიონატის სემინარის სანახავად და კარდინალი ტულენიც გვერდით ეჯდა ანგლიის ტახტის მემკვიდრეს, ირლანდის მოადგილე ლორდის საჯდომზედაო. ამ გვარი დარწმუნება საიმედო არ არის, რადგან სარწმუნოების შესახებ საქმეებისგარიგებით ირლანდის ხალხი ვერ დამშვიდდება. ხოცვა უწინდებულად შეუწყვეტელია, ფენიელებიც, როგორც სხანს, მტკიცედ აპირობენ თავიანთ მუქარის აღსრულებას: რომ ბრიტანიის მმართველობისაგან სიკვდილით დასჯილი ირლანდიელების ნაცვლად, იმათ ანგლიელები ხოცონ სადაც კი მოასწონ.

—თავადი ჩარტორისკის სიტყვაა. შტახო ქვეყნის გაზეთებში დაბეჭდილია სიტყვა, რომელიც თავადს ჩარტორისკის წარმოუთქვამს ლონდონში მომხდარ პოლემის სალიტერატურო ყრილობაში. ამ ყრილობაში ინგლისელებიც ბევრი ყოფილან მიწვეულნი. მოხსენებული სიტერის შინაარსი ყოფილა შემდეგი: „1815 წლის ტრაქტატი პოლემელებს თუმცა არ მიახნიათ თავიანთის სიმართლის მიმნიჭებელ, საბუთად მაგრამ მაინც უმადურებას აღმოაჩენენ რომ პოლემის სამეფო გააუქმეს. აწინდელი საქმით მდგომარე-

თესლა და თავის კვალი თვითონვე უნდა აიხიქნოს, დაღობს და დათესოს; მუშაობას კი ბაღის გარეგანს ნაწილზე სწავლობენ, სადაც ყველა შრომობს და ნაშრომიც საერთოა. ამას გარდა ყმაწვილებსა აქვს სხვა და სხვა სათამაშოები, რომელნიც ხმარებაში ყმაწვილს უხსნიან გონებას. ისინი ხან მუშაობენ და ხან თამაშობენ; ამასთანავე კიდევ მღერაინ.

როგორც პესტალოცი, აგრეთვე შრებელიც კარგათ გრძობდა, რომ ბუნებითი კანონისამებრ ყმაწვილის ზრდა შინაურობაში უნდა მოხდებოდეს ხოლმე და დედ-მამის ხელში უნდა იყოს ჩაყრდნილი; მაგრამ რადგან უფრო ბევრმა დედ-მამებმა ყმაწვილის ზრდისა არა იციან რა და თუ იციან, ყმაწვილი მაინც არ არის გამოარებული ცუდს მაგალითსა შინაურობაში, სადაც დედ-მამებს გარდა არიან უზრდელნი მოსამახურენი და გარეშე პირები. აი ამ გარემოებამ აფიქრებინა შრებელს საყმაწვილო ბაღის გაკეთება, სადაც ყმაწვილი სრულებით მოზარდებულია რომ ურიგო გარემოებასა. აქედან სხანს, როდესაც საკობრიობა ზნეობით გავრცელდება და თითოეული გვამის კეთილ-მდგომარეობა დამყარდება და გონიერი ურთიერთობა განმტკიცდება კაცებს შორის, მაშინ რასაკვირველია საყმაწვილო ბაღიც აღარ იქნება საჭირო და ყმაწვილი თავის სახლობაშიაც მიიღებს იმისთანა აღზრდას, რომელიც შეესაბამება იმის ბუნებას. მანამდის კი განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში უფრო საჭიროა ამისთანა ბაღები ჩვენი ნორჩი ყმაწვილების აღსაზრდელათ.

ღმერთმან წარუმართოს ხელი იმ პირებსა, რომელთაც ჰსურთ ტფილისში გახსნან საყმაწვილო ბაღი ჩვენის ახალ-გაზრდობის საკეთილდღეობთ. მაგრამ არც ერთი ამისთანა საქმე საზოგადოების შეუწყვენელათ არ მოხერხდება; ამისთვის რამდენათაც ძვირფასია საზოგადოებისთვის იმისი შთამომავლობის სიკეთე, იმდენათ უნდა შეეწიოს ამ კეთილს საქმესა. განსაკუთრებით ჩვენმა დედებმა უნდა მიაქციონ იმას ყურადღება; ატარონ ამ ბაღში თავიანთი შეილები და იქ ნახული და გამოცდილი საშუალება თვითონაც მოახმარონ შინ-ურს აღზრდაში.

